ნატალია (დონდაროვი) აზიანი (2022)

ნატალია აზიანი 1878 წლის 16 იანვარს გორში დაიბადა. მისი მშობლები გაქართველებული სომხები იყვნენ. დონდაროვების ოჯახი ერთ-ერთი გამორჩეულ და წარმოსადეგ ოჯახად ითვლებოდა იმდროინდელ გორში.

ნატალია აზიანმა პირველდაწყებითი განათლება გორის კერძო პანსიონში მიიღო. შემდეგ სწავლა გააგრძელა იქვე ქალთა გიმნაზიაში. მოგვიანებით თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელში გადმოვიდა. სწავლის პერიოდშივე (1900 წლიდან) ჩაება არალეგალურ პოლიტიკურ მოძრაობაში. პარალელურად განსაკუთრებით იზიდავდა დრამატურგია და ამ მიმართულებით ძალიან ბევრს კითხულობდა. მის საყვარელი მწერალი ალ. ოსტროვსკი გახლდათ, რომელმაც ახალგაზრდა ქალს ბიძგი მისცა დრამატურგია პროფესიის ნაწილად გაეხადა. პირველი მისი პიესა - „ინჯილერი თუ დოხტური“ (კომ. 4 მოქ.) 1897 წელს დაწერა. ილია ჭავჭავაძეს ისე მოსწონებია, რომ დასადგმელად დრამატული საზოგადოებისთვის შეუთავაზებიათ.

1898 წელს ნატალია აზიანის პიესა პირველად თბილისში ქართულ სცენაზე განხორციელდა. ამ ამბავმა ახალგაზრდა დრამატურგი მეტად წაახალისა და აქტიურად განაგრძო წერა. დაწერა კომედიები „ფული და ხარისხი“, „ვაი კალმისაგან“, პოლიტიკური „დურაჩკა“, „სამშობლოს ბურჯნი“ და „ცოდვა”. მისი პიესები ერთმანეთი მიყოლებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე, როგორც თბილისში ასევე ქუთაისსა და საქართველოს სხვადასხვა დაბა-ქალაქებში. განსაკუთრებით მაყურებლის მოწონება დაიმსახურა პიესებმა - „ფული და ხარისხი“, „ინჯილერი თუ დოხტური“ და „გაცრუებული იმედები“.

ნატალია აზიანი რეალისტ დრამატურგად და გიორგი ერისთავის სკოლის გამგრძელებლად ითვლებოდა. იგი პიესებს ხალხის ყოველდღიური ყოფიერების ფონზე წერდა და ამით დიდ სიყვარულს იმსახურებდა უბრალო ადამიანებში. მისი უკანასკნელი პიესა „დეზერტირკა“ დიდმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა 1925 წლის 26 დეკემბერს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე განახორციელა, რამაც დიდი გამოხმაურება და მოწონება დაიმსახურა. გარდა პიესებისა, ქართულ პერიოდულ გამოცემებში აქვეყნებდა მიმდინარე პოლიტიკურ და ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებზე მოთხრობებსა და სატირულ ფელეტონებს. დახმარებას უწევდა მის მშობლიურ ქალაქ გორში წარმოდგენების მართვის საქმესაც. მისი პიესები ცალკე წიგნად თბილისში 1936 წელს გამოიცა.

ნატალია (დონდუროვი) აზიანი 1943 წლის 31 იანვარს 65 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია ვაკის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ხელოვნების სასახლის-კულტურის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა ფონდში დაცულია ნ. აზიანის არქივის მცირე კოლექცია, თუმცა მნიშვნელოვანია თეატრალური მოგონებები - „მელპომენის გზაზე“, რომელიც გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე 1941 წელს დაწერა.

ნატალია (დონდუროვი) აზიანის პირადი საარქივო ფონდი

1. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მცირე პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან ამონაწერი, ნატალია აზიანისათვის პენსიის დანიშვნასა და დახმარების გაწევის შესახებ.
   1924 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

2. შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის ადმინისტრაციის წერილი ნატალია აზიანისადმი, მისი პიესის „დეზერტირკას“ რეპეტიციაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
   1925 წ. 25 ნოემბერი. ხელს აწერს თეატრის დირექტორი - დოდო ანთაძე. ნაბეჭდი. დაზიანებული. 1 გვ.

3. თელავის დრამატული კოლექტივის გამგეობის თავმჯდომარისა და დასის ხელმძღვანელ მიხეილ ხერხეულიძის თხოვნა ნატალია აზიანისადმი, მისი პიესა „დეზერტირკას“ დასადგმელად თელავში გაგზავნასთან დაკავშირებით.
   1926 წ. 16 იანვარი. ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერს თელავის დრამატული კოლექტივის გამგეობის თავმჯდომარე - მ. ხერხეულიძე. 1 გვ.

4. ნატალია აზიანის წერილი საზოგადოებისადმი, პიესაში „დეზერტირკა“ თეატრის ადმინისტრაციის მიერ შეტანილი ცვლილებების შესახებ.
   პირი: აკაკი ფაღავა, ალექსანდრე ახმეტელი.
   1926 წ. 4 მარტი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.

5. სახელმწიფო აკადემიური დრამის გამგის აკაკი ფაღავას მიერ გაცემული ბრძანება ნატალია აზიანისათვის ტფილისში (შ. რუსთაველის თეატრი) განხორციელებული პიესა „დეზერტირკას“ წარმოდგენიდან ჰონორარის (100 მან.) გაცემასთან დაკავშირებით.
   1926 წ. 4 მარტი. ხელნაწერი. შავი მელანი. ხელს აწერს - სახელმწიფო აკადემიური დრამის გამგე - აკ. ფაღავა. 1 გვ.

6. სომხური აკადემიური სახელმწიფო დრამის ადმინისტრაციასა და ნატალია აზიანს შორის დადებული ხელშეკრულება, პიესა „დეზერტირკას“ დადგმასთან დაკავშირებით.
   პირი - ა. სარუხანოვი.
   1926 წ. 7 აპრილი. ტფილისი. ხელს აწერენ: - ა. სარუხანოვი, ნატალია აზიანი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

7. ნატალია აზიანის განცხადება შ. რუსთაველის სახელობი სახელმწიფო თეატრის დირექტორ გრიგოლ ბუხნიკაშვილისადმი, თეატრში არსებულ კონფლიქტსა და პიესა „დეზერტირკას“ დადგმასთან დაკავშირებით.
   1926 წ. 21 ოქტომბერი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 2 გვ.

8. სახელმწიფო გამომცემლობასა და ნატალია აზიანს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულება პიესა „დეზერტირკას“ გამოცემასთან დაკავშირებით.
   პირი: ბ. ბიძინეიშვილი, გ. რაჭველიშვილი.
   1926 წ. 10 დეკემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 1 გვ.

9. ნატალია აზიანის განცხადება შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორ გრიგოლ ბუხნიკაშვილისადმი, პიესა „დეზერტირკაში“ მსახიობთა არაჯეროვნად როლების შესრულებასა და თეატრში არსებულ პრობლემის შესახებ.

პირი: წულუკიძე, კანდელაკი, ალექსანდრე ახმეტელი.
1927 წ. 9 თებერვალი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 2 გვ.

10. ვახტანგის (გვარი მითითებული არ არის) ღია ბარათი ნატალია აზიანისადმი, მისი პიესა „დეზერტირკას“ რეპერტუარიდან მოხსნასთან დაკავშირებით.
1928 წ. 19 ოქტომბერი. ხელნაწერი. წითელი მელანი. 1 ც.

11. საქართველოს რევოლუციის მუზეუმის დირექციის მიერ გაცემული ცნობა ნატალია აზიანის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. (ნახსენებია რევოლუციური გაზეთი - „მნათობი“).
1933 წ. 8 ივლისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

12. ნატალია აზიანის განცხადება ქართული თეატრის მუზეუმის დირექციისადმი, შრომითი ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით. ერთვის ალექსანდრე სტურუას დადებითი რეზოლუცია.
პირი - ნიკოლაძე.
1938 წ. 31 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

13. ნატალია აზიანის თეატრალური მოგონებები - „მელპომენის გზა“.
პირი: კლიუჩევსკი, ჩელპანოვი, ფრიჩე (მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორები), ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი, ელეონორა დუზე, მარია გაი (მოსკოვის მხატვრული თეატრის მსახიობები), ტატიშჩევა (ჭმ. ნინოს პანსიონის დირექტორი), სტრელეცკი (პროგიმნაზიის დირექტორი), ხელიძე (სიმონ გოგლიჩიძის მეუღლე), ნიკო ლომოური, ალექსანდრე ხახანაშვილი, კამიონსკი, პაპაიანი (ოპერის მომღერლები), სოფიო ალექსიძე (მსახიობი, ნიკო ლომოურის მეუღლე), სიკო კანდელაკი, (მსახიობი, კომიკოსი), სოფრომ მგალობლიშვილი (მსახიობი), პიასეცკი, ნატო გაბუნია, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვასო აბაშიძე, ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი, სანდრო ყანჩაველი (მსახიობი), შიო ჩიტაძე, ილია ჭავჭავაძე, ელისაბედ საგინაშვილი (ი. ჭავჭავაძის და), შანშიევები, არტემ ახნაზაროვი, ვანიჩკა (ნ. აზიანის ძმა), კოტე მესხი, საშა (ალექსანდრა კარგარეთელი, ია კარგარეთელის მეუღლე), ვალერიან გუნია, დათიკო ნახუცრიშვილი, მიხეილ ერისთავი (თავადი მეტსახელად „სიფთა“), დათიკო კობახიძე, ილია მაქარაშვილი, ნინო დურმიშხანის ასული (ჟურული ქალიშვილობაში, ილია მაქარაშვილის მეუღლე), ქეთევან ჟურული (ნინო მაქარაშვილის დედა), შათირიშვილი (ნიკო), ანასტასია მიხეილის ასულ თუმანიშვილ-წერეთლისა (ჟურნალ - „ჯეჯილის“ რედაქტორ-გამომცემელი), აკაკი წერეთელი.
1941 წ. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. ლურჯი და შავი მელანი. აკინძული წიგნის სახით. ქართულ და რუსულ ენებზე. 25 გვ.

14. ნატალია აზიანის განცხადება შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორ გრიგოლ ბუხნიკაშვილისადმი, ფინანსურ პრობლემებთან დაკავშირებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. მწვანე მელანი. 2 გვ.